საქართველოს მთავრობის

დადგენილება №638

2020 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებულ „იზოლაციისა და კარანტინის წესებში“ მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. კორონავირუსის გამო სამედიცინო დახმარების შესახებ შეტყობინების მიღებისას, პირის მოთხოვნის შემთხვევაში, პირის შესაბამის სადაზღვევო ორგანიზაციაში/სადაზღვევო ორგანიზაციის პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში ოპერატიულად გადამისამართების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უფლებამოსილია, პირის შესახებ ინფორმაცია გადაამოწმოს სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიწოდებულ დაზღვევით მოსარგებლე პირთა შესახებ ბაზაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული დაზღვევით მოსარგებლე პირების შესახებ ბაზა უნდა მოიცავდეს დაზღვევით მოსარგებლე პირის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, დაზღვევის დასაწყისს, დაზღვევის დასასრულს, დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის თარიღს, დამზღვევს (საბიუჯეტო – დამზღვევი, რომელიც ახორციელებს დაზღვევას საბიუჯეტო სახსრებით; არასაბიუჯეტო) და სადაზღვევო ორგანიზაციას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**